

**ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს 2007-2008 წლების პერიოდში
განხილვებთან და გადაწყვეტილებათა
კრებული**

**საქართველოს უზენაესი სასამართლო
ადამიანის უფლებათა ცენტრი**

თბილისი
2010

**SELECTION OF JUDGEMENTS AND DECISIONS
DELIVERED BY THE
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS IN
2007-2008**

**The Supreme Court of Georgia
Human Rights Centre**

**Tbilisi
2010**



კრებული შეადგინა და დაამუშავა

ზაზა ბზიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ადამიანის უფლებათა ცენტრი

სტილისტი

თინათინ ქოქრაშვილი

დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი



The Collection was compiled and elaborated in the
Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia by

Zaza Bzishvili

Style Editor

Tinatin Kokrashvili

Designed by

Marika Maghalashvili

ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| წინასიტყვაობა | 7 |
| Preface | 8 |
| ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის შერჩეულ განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული Selection of Judgments and Decisions delivered by the European Court of Human Rights in 2007..... | 11 |
| ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის შერჩეულ განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული Selection of Judgments and Decisions delivered by the European Court of Human Rights in 2008 | 95 |

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრში და მასში წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2007–2008 წლებში განხილულ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და საინტერესო საქმეებზე მიღებულ განჩინებათა და გადაწყვეტილებათა მოკლე მიმოხილვა.

კრებულში თავმოყრილი საქმეები, მათ შორის, კონვენციის 43-ე მუხლის შესაბამისად – დიდი პალატის მიერ განსახილველი საქმეები, დასათაურებულია და ერთვის განაცხადის ნომერი, რაც შესაძლებელს ხდის შესაბამისი საქმის აღვილად მოძიებას. სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით საქმე ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა საკანძო დასახელებით არის წარმოდგენილი. იმ საქმეებზე, სადაც გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და არსებობს მისი დიდი პალატისათვის გადაცემის მოთხოვნა, განჩინებათა შედეგი პირობითია.

ყველა განხილული განჩინებისა თუ გადაწყვეტილების სრული ტექსტი შესაძლებელია მოძიებულ იქნეს ადამიანის უფლებათა სასამართლოს საძიებო სისტემაში.

კრებული მკითხველს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გარემოებანი მიიჩნია ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დებულებათა დარღვევად და რა გარემოებანი – კონვენციის დებულებათა შესაბამისად. გარდა ამისა, კრებულში შეტანილია საქმეები ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორცაა სასამართლოს იურისდიქცია, პროცედურული უფლებები, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, სამართლიანი დაკმაყოფილება, გადაწყვეტილებათა აღსრულება და სხვა.

განხილული საქმეებიდან რეზიუმეს სახით წარმოდგენილია პრეცედენტები კონვენციის მუხლების ქრონოლოგიის შესაბამისად. მითითებული პრეცედენტები მოსამართლეებს აძლევს საშუალებას, თვალი მიადევნონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რაც კონკრეტულ საკითხებზე წარმოადგენს ამ სასამართლოს მყარ მოსაზრებას ამჟამინდელი მდგომარეობით.

PREFACE

The present collection is prepared by the Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia and provides a short survey of the most interesting and serious cases delivered by the European Court of Human Rights in 2007 and 2008.

The case laws that are discussed in the selection are presented as summaries in chronological order, following the Articles of the Convention of Human Rights. They are presented in this manner in order for judges to observe past decisions that may provide a solid overview of significant changes and the current status of particular issues.

The cases (including non-final judgments, see Article 43 of the Convention) are listed with their name and application number. The two- or three-digit number at the end of each reference line indicates the issue of the Case-Law Information note where the judgment was summarized. Depending on the Court's findings, a case may appear under several keywords. Where a Chamber judgment is not final or a request for referral to the Grand Chamber is pending, the decision to publish the Chamber judgment is provisional. All judgments and admissibility decisions (other than those taken by committees) are available in full text in HUDOC.

The collection provides readers with an overview of cases determined by the court to be in violation of both The Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and otherwise. In addition, it gives an overview of cases regarding jurisdiction, procedural rights, civil and political rights, just satisfaction, execution of judgments, and other matters.

**ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს 2007 წლის უმრავლეს
განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული**

**SELECTION OF JUDGMENTS AND DECISIONS
DELIVERED BY THE EUROPEAN COURT OF HUMAN
RIGHTS IN 2007**

ბანჩინებები

მუხლი 2

მე-2 მუხლის პირველი ნაწილი

სიცოცხლე

პოლიციელის მიერ საბედისწერო გასროლის ფაქტზე ეფექტური გამოძიების ჩატარება, რომელშიც მსხვერპლის ნათესავებს მიეცათ მონაწილეობის შესაძლებლობა და მითითებული პოლიციელის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებაზე ნათესავების მიერ შეტანილი საჩივრის ღია სხდომაზე განუხილველობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად/არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

*რამსაჰაი ნიდერლანდების წინააღმდეგ
Ramsahai v. the Netherlands, no. 52391/99, no. 97*

საგანგებო მდგომარეობის რეგიონში ჩადენილი საბედისწერო შედეგის მქონე აფეთქების ფაქტზე თორმეტწლიანი გამოძიების ეფექტურობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*კამილ უზუნი თურქეთის წინააღმდეგ
Kamil Uzun v. Turkey, no. 37410/97, no. 97*

პოლიციის უმოქმედობა განმცხადებლის შვილების სიცოცხლის დასაცავად, რომლებიც საბოლოოდ საკუთარმა მამამ დახოცა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*კონტროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ
Kontrová v. Slovakia, no. 7510/04, no. 97*

პოლიციის ოფიცრებისათვის გამოტანილი არაადეკვატური განაჩენი მათ მიერ გამოჩენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისათვის, რასაც მოჰყვა ფატალური შედეგი: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*ნიკოლოვა და ველიჩკოვა ბულგარეთის წინააღმდეგ
Nikolova and Velichkova v. Bulgaria, no. 7888/03, no. 103*

პოზიტიური ვალდებულებები

პოლიციის უმოქმედობა განმცხადებლის შვილების სიცოცხლის დასაცავად, რომლებიც საბოლოოდ საკუთარმა მამამ დახოცა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

კონტროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ
Kontrová v. Slovakia, no. 7510/04, no. 97

სამოქალაქო საქმის წარმოება სავარაუდო სამედიცინო დაუდევრობის ფაქტზე, აღმოჩნდა არაეფექტური გაჭიანურებული განხილვისა და საპროცესო პრობლემების გამო: *მიჩნეულ იქნა დარღვევად (საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას).*

შილი სლოვენის წინააღმდეგ
Šilih v. Slovenia, no. 71463/01, no. 98

ფატალურ გასროლაში დამნაშავე პირთა წინააღმდეგ მიმართული გამოძიებისას საგამოძიებო ნაკლოვანებები, რომლებიც გამოიხატა ამავე დანაშაულში მონაწილე პოლიციელის მიერ განმარტებების წარმოდგენის ვალდებულების არარსებობაში: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ცელნიკუ საბერძნეთის წინააღმდეგ
Celniku v. Greece, no. 21449/04, no. 99

უშიშროების ძალების მიერ, სასამართლოს გვერდის ავლით, ათობით მოქალაქის დასჯა და ამ ფაქტზე არაეფექტური გამოძიების წარმართვა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

მუსაიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ
Musayev and Others v. Russia, nos. 57941/00, 58699/00 and 60403/00, no. 99

სიკვდილი, რომელიც, სავარაუდოდ, გამოიწვია სახელმწიფო აგენტის ერთი თვის წინანდელმა თავდასხმამ, თუმცა სასამართლო პროცესზე მიზეზობრივი კავშირი არ დადგინდა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად (საპროცესო).*

ფეიზი ილდირიმი თურქეთის წინააღმდეგ
Feyzi Yildirim v. Turkey, no. 40074/98, no. 99

რასობრივ ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის საქმეზე არაეფექტური გამოძიების ჩატარება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ანგელოვა და ილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ
Angelova and Iliev v. Bulgaria, no. 55523/00, no. 99

პოლიციის აგენტთა *De facto* დაუსჯელობა, რომლებიც პასუხისმგებლობაში იქნენ მიცემული პატიმრობაში მყოფი პირის წამებაში მონაწილეობისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი და ამ ფაქტზე სისხლის სამართალწარმოების ეფექტურობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ტერენ აქსაკალი თურქეთის წინააღმდეგ
Teren Aksakal v. Turkey, no. 51967/99, no. 100

ასფიქციის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცის სიკვდილი, რაც გამოიწვია ხელშე-ბორკილი პირის სახით მიწისკენ ოცდაათი წუთის განმავლობაში გაჩერების იძუ-ლება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

საოუდი საფრანგეთის წინააღმდეგ
Saoud v. France, no. 9375/02, no. 101

არაადეკვატური სამართალწარმოება საავადმყოფოში მომხდარი სიკვდილის ფაქტის გამოსაძიებლად: *მიჩნეულ იქნა დარღვევად (საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას).*

სილი სლოვენის წინააღმდეგ
Šilih v. Slovenia, no. 71463/01, no. 102

პოლიციის დამოუკიდებლობის არარსებობა, რომელიც გამოძახებულ იქნა განმცხადებლის ქმრის შეთქმულებით მკვლელობაში უშიშროების ძალების მიმართ წაყენებული ბრალდებების გამოსაძიებლად: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ბრეკნელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
Brecknell v. United Kingdom, no. 32457/04, no. 102

მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი

ძალის გამოყენება

პოლიციის ოფიცრის მიერ პირის დაკავების მცდელობისას განხორციელებული საბედისწერო გასროლა: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

რამსაჰაი ნიდერლანდების წინააღმდეგ
Ramsahai v. Netherlands, no. 52391/99, no. 97

პოლიციის მიერ ჩადენილი ძალადობის ფაქტი სასიკვდილო შედეგით, რაც გამოიხატა კაფეში განხორციელებულ სროლაში და ამ ფაქტზე გამოძიების ეფექტურობა: არ იქნა მიჩნეული დარღვევად/მიჩნეულ იქნა დარღვევად.

*იუკსელ ერდო ანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ
Yüksel Erdo an and Others v. Turkey, no. 57049/00, no. 94*

უმიშროების ძალებთან შეიარაღებული შეტაკების დროს ადამიანთათვის სიცოცხლის მოსპობა და ამ ფაქტზე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოძიების ჩაუტარებლობა: არ იქნა მიჩნეული დარღვევად/მიჩნეულ იქნა დარღვევად.

*აკპინარი და ალთუნი თურქეთის წინააღმდეგ
Akpınar and Altun v. Turkey, no. 56760/00, no. 94*

პირის სიცოცხლის განზრახვის გარეშე მოსპობა ალყის დროს, მას შემდეგ, რაც მან პოლიციელებს გაუხსნა ცეცხლი: არ იქნა მიჩნეული დარღვევად.

*ჰუოვანაინენი ფინეთის წინააღმდეგ
Huohvanainen v. Finland, no. 57389/00, no. 95*

პოლიციის მიერ სახით მიწაზე გაუნძრევლად გასაჩერებელი სპეციალური საშუალების გამოყენება შეურაცხადი მამაკაცის დასაკავებლად: მიჩნეულ იქნა დარღვევად.

*საოუდი საფრანგეთის წინააღმდეგ
Saoud v. France, no. 9375/02, no. 101*

მუხლი 3

წამება

ოპოზიციის ლიდერის წამება და ამ ფაქტზე არაეფექტური გამოძიების წარმართვა: მიჩნეულ იქნა დარღვევად.

*მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ
Mammadov v. Azerbaijan, no. 34445/04, no. 93*

ჩეჩენი განმცხადებლების წამება და უკანონო პატიმრობა: მიჩნეულ იქნა დარღვევად.

*ჩიტაევი რუსეთის წინააღმდეგ
Chitayev v. Russia, no. 59334/00, no. 93*

ციხის პირობებისადმი პროტესტის ნიშნად მოშიშმილე პატიმრის იძულებით გამოკვება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

კიორაპი მოლდოვის წინააღმდეგ
Ciorap v. Moldova, no. 12066/02, no. 98

არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა

გვამების შეურაცხყოფა – ყურების მოჭრა სიკვდილის შემდეგ: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად (გარდაცვლილებთან მიმართებით).*

აკპინარი და ალთუნი თურქეთის წინააღმდეგ
Akpınar and Altun v. Turkey, no. 56760/00, no. 94

განმცხადებლებს გადაეცათ ნათესავების დაჩეხილი სხეულები: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

აკპინარი და ალთუნი თურქეთის წინააღმდეგ
Akpınar and Altun v. Turkey, no. 56760/00, no. 94

დაკავების დროს პირის უკანონო ჩხრეკა მისი გაშიშვლებით: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ვიზერი ავსტრიის წინააღმდეგ
Wieser v. Austria, no. 2293/03, no. 94

კრიმინალური წარსულის არმქონე განმცხადებელს განუვითარდა შეუქცევადი ფსიქოპათოლოგიური აშლილობა მას შემდეგ, რაც დაკითხვის მიზნით დააკავეს და აიძულეს, ეტარებინა ხელბორკილი თავის სამუშაო ადგილას და თავისი ოჯახის წევრებისა და მეზობლების თანდასწრებით: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ერდოღან იალიზი თურქეთის წინააღმდეგ
Erdogan Yağız v. Turkey, no. 27473/02, no. 95

ცრემლსადენი გაზის ე.წ. „წიწაკის შხეფის“ გამოყენება დემონსტრანტთა დასაშლელად: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

ილო ლუ და სხვები თურქეთის წინააღმდეგ
ilo lu and Others v. Turkey, no. 73333/01, no. 95

ბოშათა კავშირის წევრზე რასისტული თავდასხმის ფაქტზე არაეფექტური გამოძიების წარმართვა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

შეიჩი ხორვატიის წინააღმდეგ
Šečić v. Croatia, no. 40116/02, no. 97

მართლმადიდებლური ეკლესიის მხარდამჭერთა ჯგუფის ძალადობრივი თავდასხმა იელოვას მოწმეებზე მათი შეკრების დროს და ამ ფაქტზე არაეფექტური გამოძიების ჩატარება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

გლდანის იელოვას მოწმეების შეკრების მონაწილეები და სხვები საქართველოს წინააღმდეგ
Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia, no. 71156/01, no. 97

წინასწარი დაკავების პირობები და პატიმრობაში მყოფი პირის დავალებულება, გადაეხადა საზღაური პატიმრობის პირობების გასაუმჯობესებლად: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

მოდარკა მოლდოვის წინააღმდეგ
Modarca v. Moldova, no. 14437/05, no. 97

პატიმარი ინვალიდის მძიმე მდგომარეობის გაუთვალისწინებლობა მისი პატიმრობისას და ტრანსპორტირებისას: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ჰუსეინ ილდირიმი თურქეთის წინააღმდეგ
Hüseyin Yıldırım v. Turkey, no. 2778/02, no. 97

დისციპლინური დაკავების საკანში მოთავსებული ტუბერკულოზით დაავადებული პირისათვის არასათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევა და საკვებით ცუდად უზრუნველყოფა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

გოროდნიჩევი რუსეთის წინააღმდეგ
Gorodnichev v. Russia, no. 52058/99, no. 97

სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის დროს განსასჯელისათვის ხელბორკილის დადება, რაც, უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ იყო გამართლებული: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

გოროდნიჩევი რუსეთის წინააღმდეგ
Gorodnichev v. Russia, no. 52058/99, no. 97

ციხის პირობების გასაპროტესტებლად შიმშილობისას პატიმრის იძულებითი გამოკვება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

კიორაპი მოლდოვის წინააღმდეგ
Ciorap v. Moldova, no. 12066/02, no. 98

ორი წლის განმავლობაში ციხის ყოველი ინსპექტირებისას პატიმრის სხეულის დათვალიერება, უკანა ტანის სისტემატურად შემოწმების ჩათვლით: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ფრეროტი საფრანგეთის წინააღმდეგ
Fr é rot v. France, no. 70204/01, no. 98

დანაშაულის სავარაუდო მსხვერპლისათვის უფლების შეზღუდვა, გაესაჩივრებინა პროკურორის გადაწყვეტილება საქმის არაღძვრის შესახებ: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

მაკოვეი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ
Macovei and Others v. Romania, no. 5048/02, no. 98

წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირისათვის ჯეროვანი სამედიცინო დახმარების გაუწევლობა და ნევროლოგიური მკურნალობის მოულოდნელი შეწყვეტა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

პალადი მოლდოვის წინააღმდეგ
Paladi v. Moldova, no. 39806/05, no. 99

პოლიციაში პატიმრობის დროს ეჭვმიტანილი ბოშის მიმართ გამოვლენილი მოპყრობა და მისი საჩივრების ჯეროვანი გამოუძიებლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

კობზარუ რუმინეთის წინააღმდეგ
Cobzaru v. Romania, no. 48254/99, no. 99

პოლიციის ხელკეტის გაუმართლებელი გამოყენება, განმარტოებულ საკანში მოთავსება, ხელბორკილის დადება და სათანადო სამედიცინო დახმარების გაუწევლობა პატიმრობაში მყოფი იმ პირისათვის, რომელიც შიზოფრენიით იყო დაავადებული: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

კუჩერუკი უკრაინის წინააღმდეგ
Kucheruk v. Ukraine, no. 2570/04, no. 100

აპლიკანტის განცხადება, რომელიც შეჭირვებულ ოჯახთათვის შემწეობის უზრუნველყოფ სააგენტოს ბრალს სდებდა მეძავედ მუშაობის გაგრძელების იძულებაში: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

*ტრემბლეი საფრანგეთის წინააღმდეგ
Tremblay v. France, no. 37194/02, no. 100*

პოლიციის ოფიცრის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენება თანმხლების გარეშე მყოფი ქალბატონის მიმართ, რომელსაც მოსთხოვეს პოლიციის განყოფილებაში გამოცხადება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*ფარიე ალი კანი თურქეთის წინააღმდეგ
Fahriye ali kan v. Turkey, no. 40516/98, no. 101*

მძიმედ დაავადებული, თავისუფლებააღკვეთილი პირის საპატიმრო პირობები და არასათანადო სამედიცინო მომსახურება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*იაკოვენკო უკრაინის წინააღმდეგ
Yakovenko v. Ukraine, no. 15825/06, no. 101*

პატიმრობის პირობები ფსიქიკური აშლილობით დაავადებული პირისათვის: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*დიბეკუ ალბანეთის წინააღმდეგ
Dybeku v. Albania, no. 41153/06, no. 103*

პოზიტიური ვალდებულებები

ციხის დაცვის მიერ შიზოფრენიით დაავადებული პატიმრის მიმართ ხელკეტის უკანონოდ გამოყენება და ამ ფაქტზე არაფეროვანი გამოძიების წარმოება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*კუჩერუკი უკრაინის წინააღმდეგ
Kucheruk v. Ukraine, no. 2570/04, no. 100*

წინასწარ პატიმრობაში მყოფი, განცალკევებული პირის მიმართ დაშინების ფაქტზე გამოძიების ჩაუტარებლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*სტეპულეაკი მოლდოვის წინააღმდეგ
Stepuleac v. Moldova, no. 8207/06, no. 102*

განდევნა (დეპორტაცია)

თავშესაფრის მაძიებლის სომალში „შედარებით უსაფრთხო ადგილას“ განზრახული განდევნა: *განდევნა მიხნეულ იქნებოდა მესამე მუხლის დარღვევად.*

სალაჰ შეეხი ნიდერლანდების წინააღმდეგ
Salah Sheekh v. Netherlands, no. 1948/04, no. 93

ავღანეთში დეპორტაციის საფრთხე: *დეპორტაცია არ ჩაითვლებოდა დარღვევად.*

სულტანი საფრანგეთის წინააღმდეგ
Sultani v. France, no. 45223/05, no. 100

ექსტრადიცია

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დარღვევა და ექსტრადიცია ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა სცოდნოდათ, რომ განმცხადებელი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის რეალური საფრთხის წინაშე იდგა: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

გარაბაევი რუსეთის წინააღმდეგ
Garabayev v. Russia, no. 38411/02, no. 98

მუხლი 5

მე-5 მუხლის პირველი ნაწილი

კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება

დაკავების მაქსიმალური ვადის შესახებ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ნორმების გვერდის ავლით პირის განთავისუფლებიდან ათი წუთის შემდეგ ხელახლა დაკავება: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

ჯონი საბერძნეთის წინააღმდეგ
John v. Greece, no. 199/05, no. 97

იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის შესახებ ბრძანების გაუქმების მიუხედავად, საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობის გაგრძელება: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

კუჩერუკი უკრაინის წინააღმდეგ
Kucheruk v. Ukraine, no. 2570/04, no. 100

პატიმრობის შესახებ ბრძანების კანონით დადგენილ ვადაში მიუღებლობა: *მინნეულ იქნა დარღვევად.*

ვოსკუილი ნიდერლანდების წინააღმდეგ
Voskuil v. Netherlands, no. 64752/01, no. 102

მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ც“ ქვეპუნქტი

საფუძვლიანი ეჭვი

განმცხადებლის დაკავება და წინასწარი პატიმრობის შეფარდება იმის შეუმოწმებლად, იყო თუ არა საფუძვლიანი მის მიმართ წამოჭრილი ეჭვი: *მინნეულ იქნა დარღვევად.*

სტეპულეაკი მოლდოვის წინააღმდეგ
Stepuleac v. Moldova, no. 8207/06, no. 102

მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი

სულით ავადმყოფი პირები

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების მოლოდინში ჩვეულებრივ საპატიმრო დაწესებულებაში პირის გაჭიანურებული პატიმრობა: *მინნეულ იქნა დარღვევად.*

მოკარსკა პოლონეთის წინააღმდეგ
Mocarska v. Poland, no. 26917/05, no. 102

მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი

ქვეყანაში უნებართვო შემოსვლის უფლების აღკვეთა

თავშესაფრის მაძიებლის გაჭიანურებული დაკავება აეროპორტის მოსაცდელ ზონაში სასამართლოს მიერ რეგლამენტის 39-ე მუხლს შესაბამისად მიღებული შუალედური მითითების მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ის არ უნდა დაებრუნებინათ მშობლიური ქვეყანაში: *არ იქნა მინნეული დარღვევად.*

გებრემედჰინი საფრანგეთის წინააღმდეგ
Gebremedhin (Gaberamadhin) v. France, no. 25389/05, no. 96

განდევნა

პატიმრობის მაქსიმალური ვადის შესახებ შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ნორმების უგულებელყოფა იმ პირობით მიმართებით, რომელიც განდევნის მოლოდინშია: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*ჯონი საბერძნეთის წინააღმდეგ
John v. Greece, no. 199/05, no. 97*

ექსტრადიცია

ექსტრადიციის მოლოდინში მყოფ დაკავებულთათვის საკანონმდებლო დებულებების ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*ნასრულოიევი რუსეთის წინააღმდეგ
Nasrulloev v. Russia, no. 656/06, no. 101*

მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი

წინასწარი პატიმრობა

თარიღი, საიდანაც წინასწარი პატიმრობის თანამიმდევრული პერიოდის შემთხვევებში იწყება ათვლა 6-თვიანი ვადის გამოსაანგარიშებლად: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*სოლმაზი თურქეთის წინააღმდეგ
Solmaz v. Turkey, no. 27561/02, no. 93*

წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირისათვის პატიმრობის ვადის გაგრძელების მიზეზების დეტალურად აუხსნელობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*კასტრავეტი მოლდოვის წინააღმდეგ
Castravet v. Moldova, no. 233393/05, no. 95*

ბელგიის სასამართლო ხელისუფლების მიერ პატიმრობის ალტერნატიული, აღკვეთის სხვა ღონისძიებების საკითხისადმი სერიოზული ყურადღების დაუთმობლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*ლელიევრე ბელგიის წინააღმდეგ
Lelièvre v. Belgium, no. 11287/03, no. 102*

მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი

საპროცესო მოქმედებების შესრულება

წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირს ხელი შეეშალა თავის ადვოკატთან ეფექტურ კომუნიკაციაში იმის ვარაუდით, რომ მინის ბარიერით იზოლირებულ ოთახში ხდებოდა მისი და ადვოკატის საუბრის მიყურადება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*კასტრავეტი მოლდოვის წინააღმდეგ
Castravet v. Moldova, no. 233393/05, no. 95*

ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალობის დაუცველობა, რაც გამოწვეული იყო მინის ბარიერით იზოლირებული ოთახის შეუზღუდავი გამოყენებით საპატიმრო ცენტრში: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*მოდარკა მოლდოვის წინააღმდეგ
Modarca v. Moldova, no. 14437/05, no. 97*

ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მოლოდინში – სამი წლის განმავლობაში პირისათვის თავისუფლების აღკვეთა, საქმის გადასინჯვის შესაძლებლობის მოსპობით: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*ნასრულოევი რუსეთის წინააღმდეგ
Nasrulloev v. Russia, no. 656/06, no. 101*

მე-5 მუხლის მე-5 ნაწილი

კომპენსაცია

სასამართლო სისტემის გაუმართავი მუშაობისა და სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის გამო კომპენსაციის მიცემაზე უარის თქმა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*ჩიტაევი რუსეთის წინააღმდეგ
Chitayev v. Russia, no. 59334/00, no. 93*

მუხლი 6

მე-6 მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება (სამოქალაქო საქმეებზე)

დავა, რომელიც შეეხება პოლიციის თანამშრომელთა უფლებას სპეციალური დახმარების მიღებაზე: *მე-6 მუხლი იქნა გამოყენებული (ახალი მიდგომა იქნა შემუშავებული საქმეებზე, რომლებშიც სახელმწიფო მოსამსახურეები მონაწილეობენ).*

*ვილო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ
Vilho Eskelinen and Others v. Finland, no. 63235/00, no. 96*

სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები

დავა კორპორაციული სამართალმემკვიდრეობის მოთხოვნის შესახებ, რომელსაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით არ გააჩნდა საფუძველი: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

*შპს „პლოდოვაია კომპანია“ რუსეთის წინააღმდეგ
Oao Plodovaya Kompaniya v. Russia, no. 1641/02, no. 98*

სასამართლოსადმი მიმართვის უფლება

გარემოს დაცვის სფეროში მულტინაციონალური კომპანიის მხრიდან გაცემული ხარჯების დაკისრება შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების მქონე ასოციაციაზე: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

*Collectif national d' information et d' opposition á l' usine Melox-Collectif stop
Melox et Mox v. France, no. 75218/01, no. 98*

ადამიანის უფლებათა პალატის გადაწყვეტილების აღუსრულებლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*კარანოვი ბოსნია-ჰერცეგოვინის წინააღმდეგ
Karanovi v. Bosnia Herzegovina, no. 39462/03, no. 102*

საზედამხედველო წესით საბოლოო გადაწყვეტილებების გადასინჯვა, უზენაესი სასამართლოს მიკერძოებულობა და საკუთრების რესტიტუციის შესახებ გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*დრიზა ალბანეთის წინააღმდეგ
Driza v. Albania, no. 33771/02, no. 102
რამადჰი და სხვები ალბანეთის წინააღმდეგ
Ramadhi and Others v. Albania, no. 38222/02, no. 102*

სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა

აღმასრულებელ დირექტორსა და კომპანიის ერთადერთ აქციონერს არ მიეცათ კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ ბრძანების გასაჩივრების შესაძლებლობა: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

არმა საფრანგეთის წინააღმდეგ
Arma v. France, no. 23241/04, no. 95

პირებს არ მიეცათ საშუალება, უზენაეს სასამართლოში გაესაჩივრებინათ გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ მიცემული არასწორი რჩევის გამო, რომ, თითქოს, მათი საჩივარი იყო უპერსპექტივო: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

სტაროსცზიკი პოლონეთის წინააღმდეგ
Staroszczyk v. Poland, no. 59519/00, no. 95
სია კოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ
Sia kowska v. Poland, no.8932/05, no.95

სარწმუნო განმარტების გარეშე დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უარი: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

დუნაევი რუსეთის წინააღმდეგ
Dunayev v. Russia, no. 70142/01, no. 97

განმცხადებლისათვის პროცედურული ხარჯის გადახდის შეუძლებლობის გამო სამართლებრივი დახმარებით სარგებლობაზე უარის თქმა და საპროცესო გარანტიები, გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დახმარების სქემით: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

ბაკანი თურქეთის წინააღმდეგ
Bakan v. Turkey, no. 50939/99, no. 98

უზენაესი სასამართლოს უკანონო უარი ბაჟის გადაუხდელობის გამო, სავარაუდო წამების შესახებ საქმის განხილვაზე: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

კიორაპი მოლდოვის წინააღმდეგ
Ciorap v. Moldova, no. 12066/02, no. 98

სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს დაევალა სახელმწიფო ბაჟის სახით გადაეხადა თანხის ის ოდენობა, რომელიც გადაანგარიშდა პროცენტულად და შეესაბამებოდა სამოქალაქო სარჩელის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ ნაწილს: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

სტანკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ
Stankov v. Bulgaria, no. 68490/01, no. 99

სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტა გადახდისუნარო მოსარჩელების მიერ სასამართლო ხარჯების გადაუხდელობის გამო, მას შემდეგ, რაც მათ უარი ეთქვათ სამართლებრივ დახმარებაზე იმ საფუძველზე, რომ ისინი სასამართლოში წარმოადგინა სპეციალურმა დაწესებულებამ, რომელიც მხარესთან შეთანხმებით, გარკვეული პირობით ფარავს ხარჯებს: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

მეჰმეტი და სუნა იტი თურქეთის წინააღმდეგ
Mehmet and Suna Yi it v. Turkey, no. 52658/99, no.99

საბოლოო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებდა, მფლობელობა დაეთმო დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე სამთავრობო დაწესებულების მიერ დაკავებულ შენობაზე: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ჰირშჰორნი რუმინეთის წინააღმდეგ
Hirschhorn v. Romania, no. 29294/02, no.99

სასამართლოების მუშაობის დროებითი შეჩერება ჩეჩნეთში კონტრტერორისტული ოპერაციების გამო: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

კამიდოვი რუსეთის წინააღმდეგ
Khamidov v. Russia, no. 72118/01, no.102

საბოლოო გადაწყვეტილების მიუღებლობა განმცხადებლის კონსტიტუციურ სარჩელზე ხმების თანაბრად გაყოფის გამო: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

მარინი ალბანეთის წინააღმდეგ
Marini v. Albania, no. 3738/02, no. 103

საქმის სამართლიანი განხილვა

უკუქმედების ძალის მქონე კანონი, რომელმაც განსაზღვრა საქმის არსებითად განხილვის შედეგი და რომლის მიღება არ იყო განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესით გამართლებული: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

არნოლინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ
აუბერტი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ

Arnolin and Others v. France, nos. 20127/03, 31795/03, 35937/03, 2185/04, 4208/04, 12654/04, 15466/04, 15612/04, 27549/04, 27552/04, 27554/04, 27560/04, 27566/04, 27572/04, 27586/04, 27588/04, 27593/04, 27599/04, 27602/04, 27605/04, 27611/04, 27615/04, 27632/04, 34409/04 and 12176/05, no. 93

Aubert and Others v. France, nos. 31501/03, 31870/03, 13045/04, 13076/04, 14838/04, 17558/04, 30488/04, 45576/04 and 20389/05, no. 93

ეროვნული სასამართლოს უარი, განეხილა საქმეები კონვენციის სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

კუზნეცოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ
Kuznetsov and Others v. Russia, no. 184/02, no. 93

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიერ სააპელაციო საჩივრის როგორც დასაშვებობის, ისე არსებითად შემოწმება, რის შემდეგაც აპელანტს შეეძლო მიემართა უზენაესი სასამართლოსათვის: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

ვარსიკა პოლონეთის წინააღმდეგ
Warsicka v. Poland, no. 2065/03, no. 93

ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ
Tatishvili v. Russia, no. 1509/02, no. 94

საქმის განხილვის არსებითად გაჭიანურება (სამ წლამდე ვადით), რაც გამოწვეული იყო სარჩელის თავისებურებითა და ნორმათა კოლიზიით: *მიჩნეულ იქნა დარღვევად*

გეორგე რუმინეთის წინააღმდეგ
Gheorghe v. Romania, no. 19215/04, no. 95

მომხსენებლის მონაწილეობა აუდიტორული სასამართლოს მოსამართლეთა თათბირებში: *მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.*

ტედესკო საფრანგეთის წინააღმდეგ
Tedesco v. France, no. 11950/02, no. 97

პროკურორის მიერ სასამართლოსათვის გაგზავნილი გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების, ასევე მოსამართლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის გაგზავნილი შეტყობინების შესახებ აპლიკანტისათვის შეუტყობინებლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ფერეირა ალვესი პორტუგალიის წინააღმდეგ
Ferreira Alves v. Portugal (no.3), no. 25053/05, no. 98

კონვენციის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე პირის სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძვლის განუხილველობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ვაგნერი და ჯ.მ.ვ. ლ.-ი ლუქსემბურგის წინააღმდეგ
Wagner and J.M.W.L. v. Luxembourg, no. 76240/01, no. 98

საკასაციო სასამართლოში პირისათვის საპროცესო დახმარების აღმოჩენა მას შემდეგ, რაც განცხადების შეტანისათვის დადგენილი ვადა ამოიწურა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

საუოუდი საფრანგეთის წინააღმდეგ
Sauoud v. France, no. 9375/02, no. 101

ეროვნული სასამართლოების დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ხამიდოვი რუსეთის წინააღმდეგ
Khamidov v. Russia, no. 72118/01, no. 102

განცხადების განხილვაზე უარი საკასაციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შენარჩუნებით: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად (საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას).*

გოროუ საბერძნეთის წინააღმდეგ
Gorou v. Greece (no. 2), no. 12686/03, no. 102

უზენაესი სასამართლოს მიკერძოებულობა და სასამართლოს საკუთრების რესტიტუციის შესახებ გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

დრიზა ალბანეთის წინააღმდეგ
Driza v. Albania, no. 33771/02, no. 102
რამადი და სხვები ალბანეთის წინააღმდეგ
Ramadhi and Others v. Albania, no. 38222/02, no. 102

უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის არსებული წინააღმდეგობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ბეიანი რუმინეთის წინააღმდეგ
Beian v. Romania (no. 1), no. 30658/05, no. 103

შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო განხილვა

სასამართლოს სამედიცინო ექსპერტის დასკვნის შესახებ ინფორმაციის არმიწოდება:
მიხნეულ იქნა დარღვევად.

აუგუსტო საფრანგეთის წინააღმდეგ
Augusto v. France, no. 71665/01, no. 93

პროკურორის მიერ სასამართლოსათვის გაგზავნილი გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების, ასევე მოსამართლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის გაგზავნილი შეტყობინების შესახებ აპლიკანტისათვის არგადაცემა: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

ფერეირა ალვესი პორტუგალიის წინააღმდეგ
Ferreira Alves v. Portugal (no.3), no. 25053/05, no. 98

მხარეთა თანასწორობა

სამთავრობო კომისრის მონაწილეობა რეგიონულ სააუდიტო საბჭოს თათბირებში:
მიხნეულ იქნა დარღვევად.

ტედესკო საფრანგეთის წინააღმდეგ
Tedesco v. France, no. 11950/02, no. 97

ანტიბირთვული ასოციაცია აღმოჩნდა ორი მოწინააღმდეგის – სახელმწიფოსა და მულტინაციონალური ოპონენტების წინაშე, როდესაც ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ ნებართვის მიღებას ანტიბირთვული მოქმედებებისათვის ტერიტორიის გასაფართოებლად: *არ იქნა მიხნეული დარღვევად.*

Collectif national d' information et d' opposition à l' usine Melox-Collectif stop
Melox et Mox v. France, no. 75218/01, no. 98

საკანონმდებლო ცვლილება, რომელმაც განსახილველ სამოქალაქო საქმის შედეგზე მოახდინა გავლენა სახელმწიფოს სასარგებლოდ და მოსარჩელის ინტერესების საწინააღმდეგოდ: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

SCM Scanner de l' Ouest lyonnais and Others v. France, no. 12106/03. no. 98

სასამართლოს გადაწყვეტილებების დაფუძნება იმ ექსპერტის დასკვნაზე, რომელიც მოპასუხე მხარესთან იმყოფება სამსახურებრივ ურთიერთობაში: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*სარა ლინდ ეგერტსდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ
Sara Lind Eggertsd ó ttir v, Iceland, no. 31930/04, no. 99*

ღია სასამართლო მოსმენა

სასამართლო სხდომაზე აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების დროს საჯაროობის მოთხოვნის დარღვევა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*ბოკელარი და რიჯა იტალიის წინააღმდეგ
Bocellari and Rizza v. Italy, no. 399/02, no. 102*

გონივრული ვადა

საქმის განხილვის არსებითად გაჭიანურება (სამ წლამდე ვადით), რაც გამოწვეული იყო სარჩელის თავისებურებითა და ნორმათა კოლიზიით: *მიჩნეულ იქნა დარღვევად*

*გეორგე რუმინეთის წინააღმდეგ
Gheorghe v. Romania, no. 19215/04, no. 95*

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მიუკერძოებლობა, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო სამართლის საქმის განხილვის დროს მოსარჩელის წინააღმდეგ გამოდიოდა როგორც ექსპერტი: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*ვარკი და კავნიკი სლოვენიის წინააღმდეგ
varc and Kavnik v.Slovenia, no. 75617/01, no. 95*

მომხსენებლის დასწრება რეგიონულ სააუდიტო საბჭოს თათბირებზე: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*ტედესკო საფრანკეთის წინააღმდეგ
Tedesco v. France, no. 11950/02, no. 97*

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიკერძოებულობა იმ საქმის განხილვისას, რომელშიც ერთი მხარე იყო იმ სკოლის ხელმძღვანელი, საიდანაც გაირიცხა მისი შვილი: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

Tocono and Profesorii Prometei ti v. Moldova, no. 32263/03, no. 98

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ჩარევა სასამართლო ინსპექტორის ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც ანგარიშვალდებული იყო, როგორც იუსტიციის მინისტრის, ისე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*პირშპორნი რუმინეთის წინააღმდეგ
Hirschhorn v. Romania, no. 29294/02, no.99*

სასამართლოს გადაწყვეტილებების დაფუძნება იმ ექსპერტის დასკვნაზე, რომელიც მოპასუხე მხარესთან იმყოფება სამსახურებრივ ურთიერთობაში: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*სარა ლინდ ეგერტსდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ
Sara Lind Eggertsd ó ttir v. Iceland, no. 31930/04, no. 99*

მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენება სისხლის სამართლის საქმეებზე

სამდიანი ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების სიმძიმე: *მე-6 მუხლი იქნა გამოყენებული.*

*ზაიცევის ლატვიის წინააღმდეგ
Zaicevs v. Latvia, no. 65022/01, no.99*

ნებართვის გარეშე აშენებული სახლის დანგრევის შედეგად დაწყებული საქმის წარმოება: *მე-6 მუხლი იქნა გამოყენებული.*

*ჰამერი ბელგიის წინააღმდეგ
Hamer v. Belgium, no. 21861/03, no. 102*

საქმის სამართლიანი მოსმენა

სატრანსპორტო საშუალების რეგისტრირებულ მფლობელს დაევალა, წარმოედგინა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ავტოსატრანსპორტო წესების დაფიქსირებული დარღვევისას ვინ მართავდა ავტომობილს: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

*ოჰალორანი და ფრენკის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
O' Halloran and Francis v. United Kingdom, nos. 15809/02 and 25624/02, no. 98*

ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას მოპასუხეს არ მიეცა სისხლის სამართალწარმოებისათვის დადგენილი გარანტიებით სარგებლობის საშუალება: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

მამიდაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ
Mamidakis v. Greece, no. 35533/04, no. 93

პროკურორის შუამდგომლობა პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ბრძანების გაუქმების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა სხვა, ახალი მტკიცებულების გარეშე: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ბუჯნიტა მოლდოვის წინააღმდეგ
Bujnița v. Moldova, no. 36492/02, no. 93

აპლიკანტს არ გადაეცა მხარის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტების ასლები, რომლებშიც ფაქტობრივად მხოლოდ მეორედებოდა ბრალდების პოზიცია: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

ვერდუ ვერდუ ესპანეთის წინააღმდეგ
Verdú Verdú v. Spain, no. 43432/02, no. 94

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის თაობაზე იქნა შეტანილი: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

პერლალა საბერძნეთის წინააღმდეგ
Perlala v. Greece, no. 17721/04, no. 94

ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების დროს მოპასუხის მტკიცებულებებისა და არგუმენტების სასამართლოს მიერ გაუთვალისწინებლობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ბოლდეა რუმინეთის წინააღმდეგ
Boldea v. Romania, no. 19997/02, no. 94

სასამართლო პროცესზე მტკიცებულების სახით იმ ჩანაწერების გამოყენება, რომელიც მოპოვებულ იქნა სხეულზე მისამაგრებელი მოსასმენი მოწყობილობითა და სატელეფონო საუბრების მიყურადებით: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

ჰეგლასი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ
Heglas v. the Czech republic, no. 5935/02, no. 95

ლუსტრაციის შესახებ საქმის წარმოებისას საქმის დოსიეს ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა, რამაც პოლიტიკოსის საჯარო სამსახურიდან დროებითი განთავისუფლება გამოიწვია: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*მატიეკი პოლონეთის წინააღმდეგ
Matyjek v. Poland, no. 38184/03, no. 96*

სისხლის სამართალწარმოებისას საჩივრის შინაარსის მხოლოდ ნაწილობრივი გამჟღავნება, რაც გამართლებული იყო საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

*ბოთმე და ალამი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
Botmeh and Alami v. United Kingdom, no. 15187/03, no. 98*

სასამართლო პროცესზე მტკიცებულების სახით ბრალდებულისა და მოწმეების მიერ მიცემული იმ ჩვენებების გამოყენება, რომლებიც მოპოვებული იყო მათი წამების შედეგად: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*ჰარუტიუნიანი სომხეთის წინააღმდეგ
Harutyunyan v. Armenia, no. 36549/03, no. 98*

მხარეთა თანასწორობა

პროკურატურის უწყების წარმომადგენლის დასწრება ნაფიც მსაჯულთა ინფორმაციული ხასიათის შეხვედრაზე: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

*კორკუფი საფრანგეთის წინააღმდეგ
Corcuff v. France, no. 16290/04, no. 101*

საჯარო სასამართლო მოსმენა

ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ რეგულარული გადაადგილების საშუალებით არ უზრუნველყოფა და ინფორმაციის საზოგადოებისათვის არმიწოდება დასახლებული პუნქტიდან მოშორებით მდებარე ციხეში ჩატარებული სასამართლო პროცესის შესახებ: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

*ჰუმატოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ
Hummatov v. Azerbaijan, nos. 9852/03 and 13413/04, no. 102*

გონივრული ვადა

აპლიკანტებისა და მათი კომპანიებისათვის პროფესიულ საქმიანობაში მნიშვნელოვანი გართულებების შექმნა მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამო: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

დე კლერკი ბელგიის წინააღმდეგ
De Clerck v. Belgium, no. 34316/02, no. 100

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო

მოპასუხის უარი მოთხოვნაზე, რომ განეცხადებინა ადვოკატსა და ნაფიც მსაჯულთა შორის სასამართლო სხდომის შესვენებაზე მომხდარი კანონსაწინააღმდეგო ურთიერთობის შესახებ: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ფარი საფრანგეთის წინააღმდეგ
Farhi v. France, no. 1707/05, no. 93

მოსამართლის ორ ფუნქციას შორის, კერძოდ: ბრალდებულისათვის პატიმრობის ვადის გაგრძელებისა და ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული ვერდიქტის დამტკიცების საკითხების გადაწყვეტას შორის უმნიშვნელო სხვაობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ეკებერგი და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ
Ekeberg and Others v. Norway, nos. 11106/04, 11108/04, 11116/04, 11311/04 and 13276/04, no. 99

სააპელაციო სასამართლოს მიუკერძოებელი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სასამართლომ, ორი მოსამართლის უმრავლესობით, დაადგინა, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ნოველის გარკვეული ნაწყვეტი იყო შეურაცხყოფელი; ამასთან, სასამართლოს მსგავსი შინაარსის გადაწყვეტილება იმავე ავტორისა და გამომცემლის წინააღმდეგ გამართული წინა სასამართლო განხილვებითაც ჰქონდა მიღებული: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

ლინდონი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ
Lindon and Others v. France, nos. 21279/02 and 36448/02, no. 101

კანონის საფუძველზე დაარსებული ტრიბუნალი

აპლიკანტის განცხადება იმის თაობაზე, რომ გერმანულ სასამართლოებს არ გააჩნდათ იურისდიქცია, გაესამართლებინათ იგი მძიმე დანაშაულის, მათ შორის – გენოციდისათვის, რომელიც ბოსნიაში იქნა ჩადენილი: *არ იქნა მიჩნეული დარღვევად.*

იორგიკი გერმანიის წინააღმდეგ
Jorgic v. Germany, no. 74613/01, no. 99

მე-6 მუხლის მეორე ნაწილი

უღანაშაულობის პრეზუმფცია

ქონების კონფისკაცია იმ სამართალდარღვევებთან მიმართებით, რაშიც განმცხადებელი გამართლდა: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

*გეერინგსი ნიდერლანდების წინააღმდეგ
Geerings v.the Netherlands, no.30810\03, no 95*

ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის ინტერპრეტირება, რომლითაც განმცხადებელი გამართლდა საქმეზე საკმარისი მტკიცებულებების არქონის გამო: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

*ვასილის სტავროპოულოსი საბერძნეთის წინააღმდეგ
Vassilis Stavropoulos v. Greece, no. 35522\04 no. 100*

მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

ადეკვატური დრო და საშუალებები

აპლიკანტს დაცვისათვის მოსამზადებლად მიეცა მხოლოდ რამდენიმე საათი გარე სამყაროსთან კონტაქტის გარეშე: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

*გალსტიანი სომხეთის წინააღმდეგ
Galstyan v. Armenia, no. 26986\03, no. 102*

მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „ც“ ქვეპუნქტი

პირის დაცვა იურიდიული დახმარების აღმოჩენის გზით

დაკავების პერიოდში არასაკმარისი იურიდიული დახმარების აღმოჩენა: *არ იქნა მიხნეული დარღვევად (საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას).*

*სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ
salduz v.turkey, no. 36391\02,no.100*

პირადი სატელეფონო საუბრის მოსმენა ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის: *მიხნეულ იქნა დარღვევად.*

*ზაგარია იტალიის წინააღმდეგ
Zagaria v Italy, no. 58295\00. No. 102.*

მუხლი 7

მე-7 მუხლის პირველი ნაწილი

Nullum crimen sine lege

პირის პასუხისმგებლობაში მიცემა ისეთ აკრძალულ ტერიტორიაზე შეღწევისათვის, რომელიც ოფიციალურ სამხედრო რუკაზე არ იყო აღნიშნული: არ იქნა მიჩნეული დარღვევად.

კასტერი და სხვები დანიის წინააღმდეგ
Custers and others v. Denmark, nos. 11843\03, 11847\03 and 11849\03, no.97

კერძო სექტორის თანამშრომელთა დადანაშაულება ქრთამის აღებაში, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის იმ დროს მოქმედი რედაქციის მიხედვით, აღნიშნული ქმედებისათვის პასუხისმგებლობაში შესაძლებელია მიცემულიყო მხოლოდ საჯარო მოხელე ან სახელმწიფოს მონაწილობით შექმნილი დაწესებულების თანამშრომელი: მიჩნეულ იქნა დარღვევად.

დრაგოტონიუ და მილიტარუ-დიდჰორნი რუმინეთის წინააღმდეგ
Dragotoniu and Militaru-Didhorni v. Romania, nos. 77193\01 and 77196\01, no.97

აპლიკანტის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა გენოციდი განმარტეს ზედმეტად ფართო მნიშვნელობით: არ იქნა მიჩნეული დარღვევად.

ჟორჯიკი გერმანიის წინააღმდეგ
Jorgic v. Germany, no. 74613\01, no.99

მუხლი 8

მე-8 მუხლის გამოყენება

დედის ცხოვრება ნაშვილებ ბავშვთან შვილად აყვანის ბრძანების გამოტანის დღიდან: მე-8 მუხლი იქნა გამოყენებული.

ვაგნერი და ჯ. მ. ვ. ლ. ლუქსემბურგის წინააღმდეგ
Wagner and J.M.W.L. v. Luxembourg, no.76240\01. No.98

პირადი ცხოვრება

მამის თანხმობა განაყოფიერებული კვერცხუჯრედის შენახვისა და ინპლანტაციისათვის: არ იქნა მიჩნეული დარღვევად.

ევანსი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ
Evans v. the United Kingdom, no. 6339\05, no.96

სხეულზე მიმაგრებული მოსასმენი მოწყობილობით სხვადასხვა ნომერზე განხორციელებული სატელეფონო საუბრის მტკიცებულებად გამოყენება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ჰეგლასი ჩეხეთის წინააღმდეგ
Heglas v. Czech Republic, no. 5935\02, no. 95

თერაპევტულ აბორტზე უარის თქმა, დედის მხედველობის გაუარესების საშიშროების მიუხედავად: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ტუსიაკი პოლონეთის წინააღმდეგ
Tysiac v. Poland, no. 5410\03, no. 95

გამოძიების ორგანოების მიერ ეჭვმიტანილის სატელეფონო კომუნიკაციების კონტროლი პროკურორის ბრძანების გარეშე და თვითნებობის საწინააღმდეგო საკანონმდებლო ნორმათა არარსებობა: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

დუმიტრუ პოპესკუ რუმინეთის წინააღმდეგ
Dumitru Popescu v. Romania no. 2no71525\01 no. 96

საჯარო მოსამსახურის ოფისის დახურვა და ჩხრეკის წარმოება მის მიერ გამოქვეყნებული წერილის შემდეგ, რითაც იგი აკრიტიკებდა მთავარ პროკურორს: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

პევი ბულგარეთის წინააღმდეგ
Peev v. Bulgaria ,no. 64209\01 no 99

სპეციალური მარეგულირებელი კანონმდებლობის არარსებობისას პოლიციის მიერ მოქალაქის ტექნიკური დახმარებით უზრუნველყოფა, რომელსაც სურდა აპლიკანტთან საუბრის ფიქსაცია: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ვან ფონდელი ნიდერლანდების წინააღმდეგ
Van Vondel v. the Netherlands no 38258\03 no 101

ეროვნული სასამართლოების წარუმატებლობა, ცილისწამების საქმის წარმოებისას დაეცვათ განმცხადებლის რეპუტაცია წერილის გამოქვეყნების შემდეგ, რომლითაც მას ბრალი ედებოდა დანაშაულებრივ ქმედებაში: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

პფაიფერი ავსტრიის წინააღმდეგ
Pfeifer v. Austria, no. 12556\03, no, 102

ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, მამობის დადგენის თაობაზე სარჩელის აღძვრის შეუძლებლობა, რაც, განმცხადებლის მიერ საქმის გარემოებების არცოდნის მიუხედავად, მოქმედება: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

ფინიკარიდო კვიპროსის წინააღმდეგ
Phinikaridou v. Cyprus, no. 23890/02, no. 103

პირადი და საოჯახო ცხოვრება

ოჯახის წევრთა განცხადება იმის თაობაზე, რომ მათ არ მიეცათ საშუალება, მოეწესრიგებინათ თავიანთი საემიგრაციო სტატუსი: *ამორიცხულ იქნა განსახილველ საქმეთა სიიდან.*

სისოიევა და სხვები ლატვიის წინააღმდეგ
Sisojeva and Others v. Latvia, no. 60654/00, no. 93

ხელოვნური განაყოფიერების უფლების არმიცემა პატიმრობაში მყოფი მამაკაცისათვის: *მიჩნეულ იქნა დარღვევად.*

დიკსონი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ
Dickson v. the United Kingdom, no. 44362/04, no. 103

